ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5780556

ნომერი: AR1873774

თარიღი : 21.01.2022

გაცემის თარიღი : 28.01.2022

გაცნობის თარიღი : 31.01.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N125ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამი ჭულუხაძე პ/ნ 01019070369
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 33/1 ბ. 26

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 აპრილის №5368086 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022

წლის 21 იანვარს №AR1873774 განცხადებით მომართა მარიამ ჭულუხაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 15 აპრილის №5368086 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 15 აპრილის №5368086 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქ. №125ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.025.249), შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალადგილიანი ავტოსადგომის (სექტორი 4) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 15 აპრილიდან 2023 წლის 15 აპრილის ჩათვლით. სამსახურის 2021 წლის 15 აპრილის №5368086 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ოპტიმა“ (ს/ნ: 405160819).
წარმოდგენილი განცხადებით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების გამო, მოთხოვნილია სამსახურის 2021 წლის 15 აპრილის №5368086 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის - შპს „ოპტიმა“-ს (ს/ნ: 405160819) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - შპს "მ2 ნუცუბიძეზე 2"-ის (ს/ნ: 405374982) დაფიქსირება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: №892021031266, მომზადების თარიღი: 08/12/2021 წ.) თანახმად, №01.14.02.025.249 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს - შპს "მ2 ნუცუბიძეზე 2" (ს/ნ: 405374982). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21100694, მომზადების თარიღი: 07/10/2021 წ.) შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“-ის (ს/ნ: 405374982) დირექტორს წარმოადგენს ნიკოლოზ მემმარიაშვილი (პ/ნ: 01008013014). სამსახურში წარმოდგენილია ნიკოლოზ მემმარიაშვილი მიერ განმცხადებლის - მარიამ ჭულუხაძის სახელზე გაცემული 2022 წლის 01 იანვრის №8/N222 მინდობილობა. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.14.02.025.249 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“ (ს/ნ: 405374982), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელიც სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2021 წლის 15 აპრილის №5368086 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“-ის (ს/ნ: 405374982) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 აპრილის №5368086 ბრძანებაში და დამკვეთად შპს „ოპტიმა“-ს (ს/ნ: 405160819) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“ (ს/ნ: 405374982).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 აპრილის №5368086 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 აპრილის №5368086 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.